N გ-23-03/2490
16/11/2023

2490-გ-23-03-2-202311160920

შპს „09.TECH“-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2023 წლის 30 ნოემბერს 15:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება საკითხი კომისიის 2013 წლის 8 ნოემბრის №665/15 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

კომისიის 2013 წლის 8 ნოემბრის №665/15 გადაწყვეტილებით შპს „09.TECH“-ს (ს/კ 401981646) მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით მიენიჭა ნუმერაციის რესურსი - 1-1-8-0-9 (ერთი-ერთი-რვა-ნული-ცხრა). გამომდინარე იქიდან, რომ შპს „09.TECH“-ს ნუმერაციის რესურსი - 1-1-8-0-9 (ერთი-ერთი-რვა-ნული-ცხრა), მინიჭებული ჰქონდა სატელეფონო საინფორმაციო-საცნობარო სამსახურისთვის, არა უპირობოდ და უვადოდ, არამედ სატელეფონო საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების განხორციელების ვადით და 2020 წლის აპრილის შემდგომ კომპანია აღარ ახორციელებს სატელეფონო საინფორმაციო-საცნობარო მომსახურებას, მიზანშეწონილია ძალადაკარგულად გამოცხადდეს კომისიის 2013 წლის 8 ნოემბრის №665/15 გადაწყვეტილება.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ როგორც თქვენი მოსაზრებების წარმოდგენა 2023 წლის 23 ნოემბრამდე ასევე უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, გაცნობებთ, რომ კომისია უფლებამოსილია საკითხი განიხილოს სხდომაზე წარმომადგენლის დასწრების გარეშეც.

პატივისცემით,

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი